ჩინური კამერები კვლავ საერთაშორისო წუხილის მიზეზია

აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტმა გამოაქვეყნა 2024 წლის საფრთხის შეფასების **დოკუმენტი**, რომელშიც რუსეთი, ჩინეთი და ირანი დასახელებულნი არიან კრიტიკული ინფრასტრუქტურისთვის საფრთხის შექმნელ აქტორებად. დოკუმენტის მიხედვით, ჩინეთის მთავრობასთან დაკავშირებული კიბერ-აქტორები კვლავ აგრძელებენ კრიტიკულ ინფრასტრუქტურებთან დაკავშირებით სენსიტიური ინფორმაციის მოპარვას და ისეთ ინფრასტრუქტურულ სექტორებზე თავდასხმას, როგორებიცაა ჯანდაცვა, ფინანსური სერვისები და სამთავრობო ობიექტები.

მიმდინარე წლის თებერვალში, ამერიკულმა მედია-ორგანიზაციამ, ABC News-მა **გაავრცელა** ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტისგან მიღებული დოკუმენტი. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ინტერნეტთან დაკავშირებული ჩინური კამერები შეიძლება ჩინეთის მთავრობის მიერ ამერიკის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე თავდასხმის მიზნით იქნას გამოყენებული. დოკუმენტის მიხედვით, აღნიშნული კამერები უმეტეს შემთხვევაში არ შეიცავენ ინფორმაციის დაშიფვრის და უსაფრთხოების პარამეტრებს, რაც სისტემებზე წვდომის მოსაპოვებლად, გარეშე პირებს ხელშემწყობ პირობებს უქმნის. აღნიშნული გამოწვევა პრაქტიკულ დონეზეც დადასტურდა. 2024 წლის მარტში დაფიქსირდა ინციდენტი, როდესაც ერთ-ერთ ამერიკულ კომპანიაში დამონტაჟებულ კამერებსა და ჩინეთთან დაკავშირებულ სერვერებს (პოტენციურ კიბერ-თავდამსხმელებს) შორის კავშირი დამყარდა.



ამგვარად, ამერიკული უსაფრთხოების სამსახურები იტყობინებიან, რომ ინტერნეტთან დაკავშირებული კამერებით ჩინეთთან დაკავშირებულმა აქტორებმა შეიძლება სისტემებზე წვდომა მოიპოვონ და მანიპულაციები განახორციელონ. მაგალითისათვის, მათ შეუძლიათ ჩაახშონ ან გააქტიურონ განგაშის სიგნალი.

მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს ამერიკის ფედერალურმა კომუნიკაციების კომისიამ აკრძალა ჩინური წარმოების კამერების იმპორტი, 2024 წელს აშშ-ში აღნიშნული კამერების რაოდენობა 40 %-ით გაიზარდა. როგორც ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ დოკუმენტშია აღნიშნული, ჩინური ტექნოლოგიების კომპანიები ამ აკრძალვას გვერდს უვლიან ე.წ „თეთრი იარლიყის“ პრაქტიკით - ჩინური კომპანიების მიერ წარმოებულ კამერებს ამერიკულ ბაზარზე ყიდიან არა-სანქცირებული კომპანიები.

აღსანიშნავია, რომ „თეთრი იარლიყის“ მსგავს პრაქტიკას ვაწყდებით ქართულ ბაზარზეც. როგორც ჩინური სათვალთვალო ტექნოლოგიების შესახებ „სამოქალა-ქო იდეას“ **ანგარიშშია** ნახსენები, საქართველოს სახელმწიფო უწყებები კამერებს ძირითადად ქართული კომპანიებისგან იძენენ. ამ კუთხით აღსანიშნავია შპს ნეოტექი, რომელიც ჩინური ტექნოლოგიური კომპანია Hikvision-ის მიერ წარმოებული კამერების ძირითადი მიმწოდებელია. 2019-2024 წლებში განხორციელებული 46 სახელმწიფო შესყიდვიდან 13 შემთხვევაში გამარჯვებული კომპანია ნეოტექია. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა თავდაცვის სამი-ნისტროს შემთხვევა, რომელმაც 2024 წელს კამერები სწორედ ნეოტექისგან შეისყიდა.

დასავლური სახელმწიფოების მიერ ჩინური წარმოების კამერების კრიტიკული ობიექტებიდან ჩამოხსნის პრაქტიკის ფონზე, „ქართული ოცნება“ საპირისპირო მიმართულებას ირჩევს. საინტერესოა, რომ გასულ დღეებში აქციის მონაწილეების დასაიდენტიფიცირებლად პარლამენტის შენობასთან არაერთი კამერა დამონტაჟდა. როგორც ჩანს, არალეგიტიმური მთავრობა პეკინისთვის დამახასიათებელი „პოლიციური კონტროლის“ პოლიტიკის გადმონერგვას ცდილობს.